PUBLIC OPINION ON SETLLING THE OSSETIANS IN TSKHINVALI

საზოგადოებრივი აზრი ცხინვალში ოსების ჩამოსახლების შესახებ

Shota Vadachkoria,
Doctor of Historical Sciencies
Professor of the Georgian Technical University
ORCID ID: 0000-0002-8376-6495
(+995) 555 25 82 29
shota1951@gmail.com

Abstract

The article describethe solid factors, which made the Georgian historians out the issue of the step-by-step settlement of the Ossetians in Georgia and offer an objective history to the public, namely: a) the deliberate falsification of the Georgian-Ossetian relations by Ossetian historians, and b) the tendency to declare the Ossetians as almost indigenous people on the territory of Georgia.

The present article, based on the relevant scientific literature and analysis of the relevant documentary material, proves that: a) the facts of settlement of the Ossetians in Georgia from the north are confirmed in the first half of the XVII century; b) an intense settlement of the Ossetians in Georgia was not started until the XVIII century; c) settlement of the Ossetians in Georgia became permanent with the support and lobbying of the Russian tsarist officials in the second half of XIX century;

The documents given in the Acts Collected by the Caucasian Archaeological Commission confirm that: a) the Ossetians were prohibited from freely entering Tskhinvali by the Russian tsarist officials due to their permanent attacks and motivation of robbery of Georgian villages in Gori Region, b) based on the family lists compiled from the 1886 census and data from the 1917 Georgian census, there is no evidence of even a single Ossetian living in Tskhinvali by that time.

The first stage of the Ossetians' settling Tskhinvali is associated with the Sovietization of Georgia. According to the official statistics, from February 25th, 1921 till 1922, 613 Ossetians settled in Tskhinvali, while according to the 1926 census, the number of the Ossetians living in Tskhinvali, had increased to 1152. Based on the archive materials and official statistics, it can be said for sure that from 1801 till 1920, Tskhinvali was purely a Georgian city and no Ossetians lived there. Only from the day of Sovietization of Georgia (February 25th, 1921), following the persecution of the Georgians, Tskhinvali became an Ossetian city in 70 years' time. The accelerated process of Ossetization in Tskhinvali was the result of special lobbying of the Ossetians by high-rank officials of the Georgian government.

Key words: Public, opinion, Georgia, Ossetians, colonization.

შოთა ვადაჭკორია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ORCID ID: 0000-0002-8376-6495
(+995) 555 25 82 29
shota1951@gmail.com

აბსტრაქტი

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში დასაბუთებულია: 1) ქართველი ისტორიკოსების მიერ, ოსების საქართველოში ჩამოსახლების საფეხურებრივი პროცესების წინწამოწევა და ობიექტური ისტორიის საზოგადოებისადმი მიწოდება ორმა ფაქტორმა განაპირობა: ა) ოსი ისტორიკოსების მხრიდან ქართულ-ოსური ურთიერთობების მიზანმიმართულმა ფალსიფიკაციამ და ბ)საქართველოს ტერიტორიაზე ოსების აბორიგენ მოსახლეობად ლამის გამოცხადების ტენდენციამ; 2) სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებითა და შესაბამისი დოკუმენტური მასალის გაანალიზების საფუძველზე ნაშრომში დასაბუთებულია: ა) საქართველოში ოსების პირველი ნაკადის ჩრდილოეთიდან ჩამოსახლება XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება; ბ) ოსების გახშირებული ჩამოსახლების პროცესი საქართველოში XVIII საუკუნიდან იღებს სათავეს; გ) XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მეფის რუსეთის მოხელეთა ხელშეწყობითა და ლობირებით, საქართველოში ოსების ჩამოსახლებამ პერმანენტული ხასიათი მიიღო; 3)კავკასიის არქეოგრეაფიული კომისიის აქტების კრებულში დაბეჭდილი დოკუმენტებით ირკვევა: ა) გორის მაზრის ქართული სოფლების მოსახლეობისადმი ოსების მხრიდან გამუდმებული თავდასხმებისა და ძარცვის გამო, ცხინვალში ოსების თავისუფლად შესვლა, მეფის რუსეთის ხელისუფლებისგან იყო აკრძალული; ბ) 1886 წელს ჩატარებული აღწერის საფუძველზე შედგენილი საოჯახო სიებისა და 1917 წელს საქართველოში ჩატარებული აღწერის მიხედვით, ცხინვალში ოსების ცხოვრების ფაქტი არ დასტურდება; 4) ოსების ცხინვალში საცხოვრებლად დამკვიდრების დაწყების პირველი საფეხური, საქართველოს გასაბჭოებას უკავშირდება. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 1921 წლის 25 თებერვლიდან – 1922 წლის ჩათვლით, ცხინვალში 613 ოსი ჩასახლდა, ხოლო, 1926 წლის აღწერის მიხედვით, ცხინვალში მცხოვრები ოსების რაოდენობა 1152 კაცამდე გაიზარდა. საარქივო მასალებზე და ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ 1801 წლიდან 1920 წლის ჩათვლით, ცხინვალი წმინა ქართული ქალაქი იყო და იქ არცერთი ოსი არ ცხოვრობდა. მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების დღიდან (1921 წლის 25 თებერვალი) ქართველთა შევიწროების ხარჯზე, 70 წლის მანძილზე იგი ოსურ ქალაქად იქცა. ცხინვალში ოსიანობის დაჩქარებული პროცესი, გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან, ოსებისადმი განსაკუთრებული ლობირების შედეგს წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: ოსები საქართველოში, საქართველოს გასაბჭოება, ცხინვალი, მოსახლეობის აღწერა, ქართველთა შევიწროება.

შესავალი

ოსი სეპარატისტების მიერ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გამართლების დასაბუთებული ფორმით, საერთაშორისო ორგანიზციებისადმი ოსი ისტორიკოსებისგან მიწოდების აუცილებლობა, შექმნილმა პოლიტიკურმა კონიუნქტურამ განაპირობა. ამ ამოცანის შესრულების ერთადერთ საშუალებად, მათი მხრიდან, ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიის გაყალბება იქნა მიჩნეული. დასახული მიზნის მისაღწევად, მეცნიერისადმი აუცილებელ ზნეობრიობას და მასზე დაფუძნებულ მოსალოდნელ ჭეშმარიტებას იგნორირება გაუკეთეს. მხედველობაში მაქვს დოკუმენტებში მოტანილი ფაქტების დამახინჯების საფუძველზე ისტორიის ტოტალური ფალსიფიკაცია. ამ მხრივ, განსაკუთრებით მ.ბლიევი (Блиев, 2006), ი.კოჩიევა და ა.მარგიევი (Кочиева, Маргиев, 2005) გამოირჩევიან. აღნიშნული ავტორების წიგნებში, სინამდვილე იმ დონეზეა გამრუდებული, რომ ოსები, ლამის საქართველოს აბორიგენ მოსახლეობადაა გამოცხადებული. ამ ავტორების „მეცნიერული პატიოსნების“ შესახებ დაწვრილებითაა საუბარი პროფ. ა.თოთაძის ნაშრომში – „ოსები საქართველოში: მითი და რეალობა“ (თოთაძე, 2006).

ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ჩემს მიერ ჩამოთვლილი ოსი ავტორები იმ „პროგრამული“ გზის გამგრძელებლები არიან, რომელიც ა. ჩოჩიევისა და მისი მსგავსი ფსევდო მეცნიერების მიერ XX საუკუნის 90-იან წლებში იქნა შემუშავებული. იმ პერიოდის ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს თუკი საფუძვლიანად გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ქართული და ოსური ინტელიგენციის საღად მოაზროვნე წარმომადგენლები, საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ, მუხლჩაუხრელად იბრძოდნედნ. ამის დადასტურებას მათი ავტორობით პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები წარმოადგენს. ამ მხრივ ჩემი ყურადღება სალიმა ჩიაევასა და ლეილა ჯიოევას ერთობლივმა წერილმა – „მერე გვიან იქნება“ მიიქცია. ავტორები ოსური სეპარატიზმის ლიდერებსა და მის მხარდამჭერ „ისტორიკოსებს“ შეახსენებდა, რომ მონღოლებმა „აზოვისპირეთიდან და დნეპრისპირეთიდან ძალით აყრილი ოსები კავკასიის მწირ ჯიხურებში შეყარეს და შემდგომ საქართველოს წინააღმდეგ აამხედრეს“ (ჩიაევა, ჯიოევა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1989: 6).

აღნიშნული ფაქტები სიმართლეს შეესაბამება და იგი ცნობილი ქართველი მკვლევარების მიერაა დადასტურებული. რ.თოფჩიშვილის სამართლიანი მტკიცებით, XIII საუკუნეში, აზოვისპირეთსა და დნეპრისპირეთში მომთაბარე ალან-ოსების დიდი ნაწილი, მონღოლებმა ამოწყვიტა. რაც შეეხება ცოცხლად დარჩენილებს, ისინი სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტა. ოსთა ერთ- ერთი მცირე ნაწილი კავკასიის მთებს შეეხიზნა. იქ საბოლოოდ მათი დამკვიდრება XIV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისს უკავშირდება (თოფჩიშვილი, 1997: გვ. 124-125). ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ მომთაბარე და მონღოლებისგან დევნილმა ალან-ოსებმა, ჩრდილო კავკასიაში სხვა ერების ტერიტორია დაისაკუთრა. რამდენადაც მათ მიერ სამკვიდროდ „ამორჩეული“ ტერიტორიები მწირი იყო, სარჩოს საძიებლად სამხრეთისკენ ლტოლვა დაიწყეს. ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ა.

თოთაძე დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ხაზგასმით მიუთითებდა იმ ძირითად განმაპირობებელ მიზეზებზე, რომელმაც საქართველო ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაასუსტა, ხოლო მისი მკვიდრი ბარის მოსახლეობა მაქსიმალურად შეამცირა. ამ შემთხვევაში მას მონღოლთა გამუდმებული შემოსევები ქონდა მხედველობაში. იმ პერიოდის შესახებ დღემდე მოღწეული წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ მონღოლების სამსახურში მყოფი ოსების სამხედრო რაზმები, შექმნილი სიტუაციით სარგებლობდნენ და შიდა ქართლის ქართულ მოსახლეობას ძარცვავდნენ. ჟამთააღმწერლის მონაცემებით, 1292 წელს „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცვად და რბევად და ტყვევნად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II. 1959: გვ. 296).

ოსების გამუდმებული შემოსევებით თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა შიდა ქართლი, ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გარკვევითაა მითითებული იმ იძულებითი ძალისმიერი ღონისძიების შესახებ, რომელიც გიორგი ბრწყინვალემ გაატარა შიდა ქართლის მოსახლეობის მარბიელი და მძარცველი ოსების მიმართ. ამასთან დაკავშირებით იმავე თხზულებაში ვკითხულობთ; „ხოლო მძლავრობდნენ ოვსნი ქართლს და დაეპყრათ ადგილ ადგილთა დაბნები და ციხენი. ამან მეფემან განასხნა ძლიერებითა თვისითა და წარუხუნა ციხენი და დაბნები. მერმე შევიდა და შემუსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა ყოველნი იგინი და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინაითგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრნა“ (ბაგრატიონი, 1973: გვ. 256).

ჩემ მიერ მოტანილი ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ გიორგი ბრწყინვალეს ოსების მარბიელი შეიარაღებული რაზმები დაუმარცხებია, მათგან დაპყრობილი დაბები და ციხეები ოსებისგან გაუთავისუფლებია, ჩრდილო კავკასიაში გადაურეკია, მათთვის ხარკი დაუკისრებია, ხოლო საქართველოში შემოსასვლელი გზები ჩაუკეტია. რამდენადაც XIV საუკუნეში ოსები საქართველოდან იქნა განდევნილი, რ.თოფჩიშვილის სამართლიანი მტკიცებით, შიდა ქართლში ოსთა დასახლებები, არცერთი დოკუმენტური წყაროთი არ დასტურდება (თოფჩიშვილი, 1997: გვ. 137).

მეთოდები

კვლევა ემყარება სხვადასხვა ტიპის წერილობითი წყაროებიდან ინფორმაციის მიღების, შემოწმებისა და კრიტიკული ანალიზის აპრობირებულ მეთოდებს.

მსჯელობა

XX საუკუნის 90-იანი წლების პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი პუბლიკაციების შესწავიდან ირკვევა, რომ ოსების საქართველოში ჩამოსახლების საკითხი, იმ პერიოდის საზოგადოებრივი აზრის განსაკუთრებული ყურადრების ცენტრში იყო მოქცეული. ამ პრობლემის წინწამოწევა და მისადმი ინტერესი, ოსი სეპარატისტების მხრიდან სინამდვილის ფაკლიფიკაციამ განაპირობა. ამ საკითხთან მიმართებაში დაბეჭდილი

წერილებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცნობილი მწერლის აკაკი გელოვანის სტატია: „ჯაყოს მიზნები“, სადაც ხაზგასმითაა მითითებული, რომ საქართველოში „დამპყრობელთა თუ სიღატაკისგან დევნილ ოსთა... ჩამოსახლება და დასახლება იწყება XVII საუკუნიდან“ (გაზ. „თბილისი“ 1991). ანალოგიური შეხედულებაა გამოთქმული საზოგადოება „თვისტომის“ მიერ გაკეთებულ მიმართვაში, რომელიც გაზეთმა „თბილისმა“ დაბეჭდა სათაურით „გაღმა-გამოღმა ოსებს საზოგადოება „თვისტომის მიმართვა“. მასში ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში ვკითხულობთ: „უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული დოკუმენტების გაცნობით ძნელი როდი იყო გარკვევა იმისა, რომ ქართველი სამაჩაბლოში მკვიდრი ერია, ხოლო ოსი თავისი ისტორიული სამშობლოდან – ჩრდილოეთ კავკასიიდან საუკუნეების განმავლობაში გადმოსახლებული.“

ამ ამონაწერებში გამოთქმული შეხედულების სინამდვილეს, ქართველი მეცნიერების მიერ გამოქვეყნებულ შრომებში მოტანილი დოკუმენტები ადასტურებს. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ შიდა ქართლში ოსების ჩამოსახლების პროცესი XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება. ამის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული ქართლის მეფის როსტომ ხანის (1633-1658 წწ.) მიერ გაცემულ დოკუმენტებში. შიდა ქართლის მოხელეებს იგი ავალდებულებდა, ოსეთიდან აყრილი და ჯავის მიდამოებში დასახლებული ოსებისთვის ხელი შეეწყოთ. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვევითაა მითითებული, რომ ოსების დასახლება შიდა ქართლის მთიან ზოლში, მტრისგან ამოწყვეტილი ქართველების ნასახლარზე ხდებოდა და ამ პროცესის ინიციატორები ქსნის ერისთავები, მაჩაბლები, ამილახვრები და ციციშვილები იყვნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, პროფ. ა.თოთაძე ხაზგასმით წერს: „შიდა ქართლის ტერიტორიაზე მტერთან გამუდმებულ ბრძოლაში ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილის ამოწყვეტის გამო, ოსები, ჩრდილოეთიდან გადმოსული თავიანთი თანამოძმეების ახალ ნაკადთან ერთად, თანდათანობით მოიწევდნენ შიდა ქართლის ბარის ტერიტორიაზე და იკავებდნენ ქართველთა ნასახლარებს ძირითადად ქართველი თავადების ამილახვრებისა და ციციშვილების კუთვნილ მამულებში, როგორც ხიზნები“ (თოთაძე, 2006: გვ. 8) რაც შეეხება კავკასიონის ქედის ჩრდილოეთიდან ოსების შიდა ქართლში გახშირებულ ჩამოსახლებას, იგი XVIII საუკუნიდან იწყება. ამ პროცესისადმი მასობრივი ხასიათის მიცემა, მხოლოდ XIX საუკუნის II ნახევრიდან იღებს სათავეს. თუკი, იმავე საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლის მთიან ზონაში მოსახლე ოსებს, მეფის რუსეთის იმდროინდელი მოხელეები „სამხრეთელი ოსების“ სახელწოდებით მოიხსენიებდა, მათივე ძალისხმევით, იმავე საუკუნის II ნახევრიდან საქართველოში ოსების მიმართ გაჩნდა ახალი ტერმინი -„სამხრეთი ოსეთი“ (თოთაძე, 2006: გვ. 8). ეს იყო იმპერიული ძალების მიერ, ქართველი ერის წინააღმდეგ ჩაფიქრებული მზაკვრული ნაბიჯი.

მეფის რუსეთის მოხელეთა ანტიქართული ქმედებისა და ოსების შიდა ქართლში ჩამოსახლებისადმი ხელსეწყობის მიუხედავად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ცხინვალში არცერთი ოსი არ ცხოვრობდა. ამ ფაქტის

სისწორეს, ამიერკავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შედგენილ აქტებში მოტანილი დოკუმენტები ადასტურებს. იმავე მასალებიდან ირკვევა, რომ, რამდენადაც გორის მაზრის მოსახლეობა ოსების თავდასხმებითა და ძარცვით იყო შეწუხებული, ცხინვალში ოსებს თავისუფლად შესვლა ოფიციალურად ჰქონდათ აკრძალული. გამონაკლისი მხოლოდ საგანგებო ნებართვის გაცემის საფუძველზე იყო შესაძლებელი. ამის შესახებ გარკვევითაა მითითებული საქართველოს მმართველის გენერალ თეოდორ ახვერდოვის (1807-1811 წწ.) მიერ, საქართველოსა და კავკასიის ხაზის მთავარსარდლის გენერალ ალექსანდრე ტორმასოვისადმი (1808-1811 წწ.) გაგზავნილ პატაკში. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ თ.ახვერდოვი, ა. ტორმასოვისგან თანხმობას ითხოვდა, რათა ოსებისთვის ქართულ სოფლებში სავაჭროთ ჩასვლის ნებართვა მიეცა. ამის შესახებ იმავე პატაკში ვკითხულობთ: საჭიროებიდან გამომდინარე, ოსებს „ქართულ სოფლებში და განსაკუთრებით ქართულ სოფელ ცხინვალში სავაჭროთ ჩასვლის მიზნით, თავად რევაზ მაჩაბელისა და ერისთავისაგან მიეცეს სპეციალური ბილეთი“ (Акты 1874:260). ეს ფაქტი, იმაზე მეტყველებს, რომ იმ პერიოდში ცხინვალში საგანგებო ნებართვის გარეშე, ეროვნებით ოსის შესვლა შეუძლებლი იყო. ამ შემთხვევაში, ნებართვა მხოლოდ ისეთ პიროვნებებს ეძლეოდათ, რომლებიც ქართველების ძარცვაში და დაყაჩაღებაში არ იყო შემჩნეული. მეფის ხელისუფლების მოხელეთა მხრიდან ოსებისადმი ასეთი მკაცრი დამოკიდებულება 1917 წლამდე გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო წრეებში მცდარი მოსაზრება დამკვიდრდა, თითქოს 1917 წლის აღწერის მონაცემებით, ცხინვალში ოსის სამი ოჯახი ცხოვრობდა. მხედველობაში მაქვს ცნობილი მეცნიერის ვახტანგ ჯაოშვილის პუბლიკაცია: „მხოლოდ სიმართლე. პასუხათ მათ, ვინც ქართველებსა და ოსებს შორის მტრობას თესავენ.“ ამ უაღრესად ობიექტურქად და მაღალი პროფესიონალიზმის დონეზე დაწერილ საგაზეთო წერილში მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი უზუსტობაა დაფიქსირებული. საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოებამდე, პროფ. ვ.ჯაოშვილი ცხინვალში მცხოვრები ოსების რაოდენობას 3 ოჯახით განსაზღვრავს. ძნელია იმის მტკიცება თუ საიდან აიღო მან ეს მცდარი მონაცემები. მის მიერ გახმოვანებულმა ამ მცდარმა ინფორმაციამ, სამწუხაროდ, ქართველი ისტორიკოსების შრომებში დაიმკვიდრა ადგილი.

საქართველოს გასაბჭოებამდე (1921 წლამდე) ცხინვალში ოსების ვითომ ცხოვრების შესახებ, ინტერნეტ-საიტებზე ახალი ინფორმაცია გაჩნდა. იგი საარქივო მასალების ნაცვლად, ღრმად მოხუცებული პიროვნების „მეხსიერებას“ ეფუძნება. მხედველობაში მაქვს პროფ. როლანდ თოფჩიშვილის მიერ ინტერნეტ - საიტზე (https://iberiana.wordpress.com› topchishvili) განთავსებული პუბლიკაცია: „100 წლის წინათ 27 კომლი ეთნიკური ოსი ცხოვრობდა ცხინვალში“. ამ სათაურის ქვეშ მოტანილი ოსთა რაოდენობის (27 კომლი) მონაცემები, ძირძველი ცხინვალელის ივანე (ვალოდია) გელაძის მიერ ზვიად გამსახურდიასადმი გადასაცემად, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღებში 1991 წლის 29 აპრილს შეტანილ ბარათში არსებულ ფაქტებს ეყრდნობა. როგორც პროფ.

რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, საქართველოს უზენაესი საბჭოს სამდივნოს, ი.გელაძის ეს წერილი ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისათვის გადაუგზავნია. რამდენადაც იმ ეტაპზე ოსურ პრობლემატიკაზე ბნ. რ.თოფჩიშვილი მუშაობდა, ისტორიული სინამდვილის დადგენის მიზნით, ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ აღნიშნული წერილი მას გადასცა. ი.გელაძის წერილის და მასში მოტანილი ფაქტების გასაჯაროობას რ.თოფჩიშვილი შემდეგნაირად ამართლებს: „მიმაჩნია, რომ ოსურ პრობლემასთან დაკავშირებით დიდი და პატარა საკითხები არ არსებობს, ამიტომაც გთავაზობთ ამ ბარათს.“ ეს ბარათი შემდეგნაირადაა დასათაურებული: „სია ცხინვალში მცხოვრები ოსებისა დაწყებული ნიკოლოზის დროიდან გასაბჭოებამდე“ და 27 ოსის სახელი და გვარია ჩამოთვლილი.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ოსურ საკითხთან მიმართებაში დიდი და პატარა საკითხები მართლაც არ არსებობს, მაგრამ, სინამდვილის გასამრუდებლად არსებობს დიდი და პატარა ტყუილები. ის რაც ბნ. რ. თოფჩიშვილმა დოკუმენტად მიიჩნია, („დოკუმენტი ივანე გელაძეს ბატონ ზვიად გამსახურდიასათვის ფოსტით გადაუგზავნია“) (https://iberiana.wordpress.com), დოკუმენტს არ წარმოადგენს და მისი საერთოდ გამოქვეყნება, მითუმეტეს უკომენტაროდ, დაუშვებელი იყო. „დოკუმენტად“ გაცხადებულ ზემოაღნიშნულ წერილში, მკითხველისათვის გაუგებარი რჩება, ცხინვალში ვითამ მცხოვრები ოსების სიას, ი.გელაძე რომელი ნიკოლოზიდან იწყებს. ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I (ნიკოლოზ პავლეს ძე რომანოვი) 1825- 1855 წლებში მეფობდა. რაც შეეხება ნიკოლოზ II- ს (ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვი), იგი 1894-1917 წლებში იყო რუსეთის იმპერატორი. სავარაუდოა, რომ ი.გელაძე, ზ.გამსახურდიასადმი შეთავაზებულ ზემოაღნიშნულ სიას, ნიკოლოზ II-ის პერიოდიდან უნდა იწყებდეს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ი.გელაძის მიერ შემოთავაზებული ფაქტები, საარქივო დოკუმენტური მასალით არ დასტურდება. მხედველობაში მაქვს: 1)1886 წლის აღწერის მიხედვით შედგენილი საოჯახო სიების მონაცემები. ამ მართლაცდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, ცხინვალის მოსახლეობა 3832 კაცსს შეადგენდა. აქედან 1135 ქართველი იყო, 1953 ებრეელი და 744 სომეხი. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1886 წელს ცხინვალში არცერთი ოსი არ ცხოვრობდა (თოთაძე, 2006: გვ. 32). რაც შეეხება 1917 წელს საქართველოში ჩატარებული აღწერის მონაცემებს, ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ჩემს მიერ მიკვლეული უნიკალური საარქივო დოკუმენტი, რომელიც შემდეგნაირადაა დასათაურებული: „ოსთა მოსახლეობა საქართველოში 1917 წლის აღწერის მიხედვით.“ ეს მართლაცდა ისტორიული ღირებულების დოკუმენტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ოსურ საკითხთან მიმართებაში 1919 წელს შექმნილი საუწყებათაშორისო კომისიის (თავმჯდომარე გრიგოლ გველესიანი) დაკვეთით იქნა შედგენილი. იგი საქართველოს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს სტატის-

ტიკური განყოფილებისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელებმა ერთობლივი ძალისხმევით, საქართველოში 1917 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემების საფუძველზე მოამზადეს და საუწყებათაშორისო კომისიას წარუდგინეს (ვადაჭკორია, 2020: გვ. 561-592). ამ ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, 1917 წელს ცხინვალში 1321 ქართველი და არცერთი ოსი არ ცხოვრობდა (ვადაჭკორია, 2020: გვ. 279, 570). იმავე საარქივო დოკუმენტით, ცხინვალის საზოგადოებაში შემავალ ერთადერთ სოფელ გუჯაბაურში (და არა ცხინვალში) 186 ქართველის და 40 სული ოსის ცხოვრების ფაქტია დადასტურებული. რაც შეეხება უშუალოდ ცხინვალის საზოგადოებას, სოფელ გუჯაბაურის ჩათვლით, მასში მცხოვერბი ქართველების საერთო რაოდენობა 1521 კაცს შეადგენდა. (ვადაჭკორია, 2020: გვ. 279, 510, 533, 570) ეს არის სინამდვილე და არა ის, რასაც 83 წლის ი.გელაძე სთავაზობდა ზვიად გამსახურდიას. სამწუხაროდ, მის მიერ ზ.გამსახურდიასადმი 1991 წელს შეთავაზებული ტყუილი, 2016 წლიდან ინტერნეტ-საიტის მეშვეობით ჭეშმარიტებად იქნა გასაღებული.

ცხრილი

ცხინვალისა და მის გარშემო მდებარე სოფლების 8 საზოგადოებაში მცხოვრები ქართველებისა და ოსების რაოდენობა 1917 წლის აღწერის მიხედვით

სოფლების და ქალაქის საზოგადოებები	სოფლების რაოდენობა	ქარველების რაოდენობა	ოსების რაოდენობა
1. თამარაშენის	12	4119	525
2. ცხინვალის (ქალ.)	1 (გუჯაბაური)	1521	40 მხოლოდ სოფ. გუჯაბაურში მცხოვრებნი
3. წუნარის	1	413	24
4. დირბის	1	324	10
5. ავლევის	11	1526	334
6. მერეთის	6	1536	119
7. ორტევის	1	432	48
8. ბელოთის	8	1379	0
სულ ჯამი	41	11619	1100

სამეცნიერო ლიტერატურით დადასტურებულია, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ, ხელშემწყობი ფაქტორის როლი შეასრულა შიდა ქართლში ოსიანობის განახლების საქმეში. ისიც ცნობილია, რომ გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების მაღალ-ჩინოსნების დიდი ნაწილი, ოსურ სეპარატიზმს ლობირებდა და ამას, ქართველთა დისკრედიტაციის ხარჯზე აკეთებდა. ამ გარემოებით იყო განპირობებული ცხინვალში ოსური მოსახლეობის საოცარი სისწრაფით ზრდა. თუკი გასაბჭოებამდე ქალაქ ცხინვალში, როგორც ზემოთაც მქონდა მითითებული, არცერთი ოსი არ ცხოვრობდა, გასაბჭოების შემდეგ, წელიწადი და 5 თვის მონაკვეთში, კერძოდ, 1922 წლისათვის ცხინვალში

ოსების რაოდენობამ 613 კაცი შეადგინა, ხოლო 1926 წლის აღწერის მონაცემებით, იგი 1152 კაცამდე გაიზარდა (თოთაძე, 2006: გვ. 33). ოსების ცხინვალში ჩასახლების ეს პერმანენტული დაჩქარებითი პროცესი, მთელი 70 წლის მანძილზე გრძელდებოდა, რამაც ქართული ქალაქი ცხინვალი, ოსურ ქალაქად აქცია. ამ საკითხთან დაკავშირებით ვახტანგ ჯაოშვილი ზემოაღნიშნულ პუბლიკაციაში ოსი სეპარატისტებისა და მისი დამცველი რუსი მაღალჩინოსნების სიცრუეზე დაფუძნებული პროპაგანდის მხილების ფონზე, მათი მისამართით აცხადებდა: „არ შეიძლება სიცრუის ქადაგება, ჭეშმარიტება კი ის არის, რომ ქართული ქალაქი ცხინვალი ჩვენ თვალწინ ოსებმა დაიკავეს და ქართველებს იქ აღარ დაედგომებათ. დიახ, თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, მოხდა შემდეგი: უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, ოსები მასობრივად ჩასახლდნენ უძველეს ქართულ ქალაქ ცხინვალში. ეს მოხდა მას შემდეგ, როცა 1922 წელს მაშინდელმა ბოლშევიკურმა ლიდერებმა, ქართველი ხალხის ნება-სურვილის გარეშე და ყოველგვარი ობიექტური საფუძვლის ანგარიშგაუწევლად უკანონოდ შექმნილი ავტონომიური ოლქის ცენტრად ცხინვალი გამოაცხადეს. მანამდე საერთოდ არ არსებობდა არავითარი სამხრეთი ოსეთი. ავტონომიისა და მისი მთავარი ქალაქის მესვეურებმა, მთელი ძალაუფლება გამოიყენეს ცხინვალის ოსურ ქალაქად გადაქცევაში, რადგან მიწებს ურიგებდნენ თავისი ეროვნების ხალხს...

ახლა ვეკითხები ოს ექსტრემისტებს და მათ რუს მფარველებს: რო-გორ შეხვდებოდა რუსი ერი იმ ფაქტს, რომ მათი ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ქალაქი და მისი მიმდებარე სოფლები რომელიმე უცხო ტომის ხალხს დაეკავებინა ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე. მინიჭებული ავტონომიით არ დაკმაყოფილებულიყო და იქ დამოუკიდებელი, თუნდაც საბჭოთა რესპუბლიკა გამოეცხადებინა! შეურიგდებოდა ამას თუნდაც ერთი საღად მოაზროვნე რუსი ადამიანი?“ (ჯაოშვილი, 1991).

ვ. ჯაოშვილის პუბლიკაციიდან მოტანილი ამ ვრცელი ამონაწე-რით, ობიექტურადაა წარმოჩენილი და შეფასებული საბჭოთა ხელის-უფლებისგან, შიდა ქართლში ქართველი ერის საზიანოდ გატარებული ღონისძიებები. მეორე მხრივ, ოსი სეპარატისტების მფარველი რუსი მა-ღალჩინოსნების მიმართაც ლოგიკური შეკითხვაა დასმული – უცხო ტომელთაგან რუსული ქალაქის მიტაცების შემთხვევაში, რა პოზიციას დაიჭერდა რუსული პოლიტიკური ელიტა და თვით რუსული ინტე-ლიგენცია, ე.ი. რუსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი. სამწუხა-რო ის არის, რომ დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებული და მიუდგომე-ლი პოზიციიდან ამ პუბლიკაციაში გაანალიზებული საკითხები, მხოლოდ ქართულ ენაზე დაიბეჭდა და რუსულენოვან მკითხველს მისი გაცნობის შესაძლებლობა არ მიეცა. იმ პერიდის ხელისუფლების შესაბამისი უწყე-ბის ყველაზე დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში ვერ შექმნეს შესაბამისი სამთავრობო მთარგმნელობითი კოლეგია და საინფორმაციო ორგანო, რომელიც ასეთი სახის პუბლიკაციებს რუსულ ენაზე თარგმნიდა და რაც მთავარია, რუსულენოვან გაზეთში დაბეჭდვა-გავრცელებას უზრუნველყოფთა. ქართული მხარის ამ ხარვეზით, ოსური

სეპარატისტული ისტორიოგრაფია და ჟურნალისტთა წრეები კარგად სარგებლობდნენ. სიყალბით დამძიმებულ „სამეცნიერო ნაშრომებსა“ და საგაზეთო წერილებს რუსულ ენაზე დაუბრკოლებლად აქვეყნებდნენ. ამ უპირატესობით, საერთაშორისო იდეოლოგიურ ფრონტზე, უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეების წინაშე ქართველთა დისკრედიტაციას ადვილად ახდენდნენ.

ის რაც XX საუკუნის 90-იან წლებში ოსმა სეპარატისტებმა ქართველებს დამართა, წარსულის მწარე გამოცდილების „დავიწყებით“ და ცხინვალის რეგიონის ქართველთა ხარჯზე, ოსებისადმი გადამეტებული ინტერნაციონალიზმის შედეგს წარმოადგენდა. მხედველობაში მაქვს ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებული ხიზნების გულში ჩახუტება და მისადმი ცალმხრივად ძმობის გამოცხადება. ჯაყოიზმის სენით შეპყრობილი ოსების უმადურობიდან გამოწვეული გულისწყრომის ტონითაა დაწერილი ვაჟა გურჩიანის საგაზეთო პუბლიკაცია – „ბრალდება ერთია – დანაშაული ქართველი ერის წინაშე.“ ქართველებისთვის რამდენიმე საგულისხმო და დასამახსოვრებელი შეგონებითი ხასიათის წინადადებების პარალელურად, ჩრდილოეთიდან შიდა ქართლში მშიერტიტველი ოსებისადმი ქართველების დამოკიდებულების წარმოსახვითი ფორმით აღდგენის მცდელობაა ამ პუბლიკაციაში მოცემული. „მინდა გონების თვალით წარმოვიდგინო – წერს ვ.გურჩიანი, – ამ ორასიოდე წლის წინ... როგორი გაოცებით შეათვალიერებდნენ ისინი (ქართველები შ.ვ.) მშობლიურ წყალ-ჭალებში გამოჩენილ უცხო ტომელებს, ველური ცნობისმოყვარეობით რომ მისჩერებოდნენ მათ საცხოვრებელ სახლებს, ხილის ბაღებს, პურის ყანებსა და ვენახებს... წარმომიდგენია, რა გაჭირვებით უხსნიდნენ ისინი ქართველებს, რომ ჰშიათ და სწყურიათ, რომ ლუკმაპურის ძებნაში კავკასიონის მთები გადმოლახეს და თუ მასპინძლები მოწყალებას გაიღებდნენ, ხელს არ ჰკრავდნენ, შეიკედლებდნენ და ლუკმაპურსაც უწილადებდნენ, სიკვდილამდე მათი ერთგული იქნებოდნენ...

რა მანქანები უნდა ქართველი კაცის მოტყუებას, მისი გულის მონადირებას...დაახლოებით ასე უნდა დავარდნილიყო უცხო თესლი ქართლში,... რომელსაც ჩვენმა წინაპრებმა დაუყვავეს, ჩააცვეს, დააპურეს და საკუთარ სახლში კუთხეც კი მიუჩინეს?! იხარა და მერე როგორ! სამოყვროდ და საძმოდ მუცელზე ხოხვით მოსული იმ ალან-ოსების წინაპრები არიან, დღეს რომ სამაჩაბლოში ცეცხლითა და მახვილით იხდიან სამადლობელს“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991).

ეს ვრცელი ამონაწერი შეგნებულად მოვიტანე, რათა დღევანდელი თაობისათვის მწარე გაკვეთილად იქცეს ის დიდი შეცდომები, რომელიც ჩვენმა ტოლერანტმა წინაპრებმა დაუშვა ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილ მომთაბარე ტომებთან მიმართებაში. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ბოლშევიკური კოსმოპოლიტიზმისადმი მხარდაჭერას და ქართულ მიწაზე უცხო თესლის დამკვიდრებას. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში იმავე ვ.გურჩიანს, როცა ქართველობას კატეგორიული ფორმით შეახსენებდა: „ეხლა მაინც მოვეგოთ გონს, კრიტიკულად გავიაზროთ რა ტრაგედია დაგვატყდა თავს– ვთქვათ სიმართლე!– ჩვენივე წინაპრების უანგარიშო

ხელგაშლილობის გამო, ჭკუის სასწავლებელი კი ის არის, რომ აწი მაინც ნუღარ ჩავიხუტებთ გულში ყველა გამვლელ-გამომვლელს, უცხო თესლს, თორემ წისქვილის ქვა, დღეს რომ ჩვენს თავზე ტრიალებს, მომავალში ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თავზე დატრიალდება.“

ეს სამართლიანი შეგონება, ქართველებისადმი შეუსმენელი დარჩა. მათი შინაგანი ცნობიერების გამრუდებაში, განსაკუთრებული როლი, ქვეყნის არაეროვნული მთავრობების მესვეურთა და პარლამენტში მოკალათებული ფულის კეთებაზე ორიენტირებული ბიზნესმენების გაუკუღმერთებულმა პოლიტიკურმა კურსმა შეასრულა. მათი ალფა და ომეგა, ფულის შოვნა იყო და არა შიდა ქართლის ცხინვალის რეგიონის გატანჯული ქართველების გასაჭირიდან გამოყვანა. ერის უბედურებაზე გამდიდრების მოსურნეთა ფრთებგაშლით ნავარდი და ღალატის ტოლფასი დანაშაულის ჯეროვნად არშეფასება, ქართული „ელიტარული“ ინტელიგენციისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა დუმილითაც იყო განპირობებული. ძნელბედობის ჟამს, ერის ბელადობა და მისი მესაჭეობა ორივე მათგანს უნდა ეკისრა. საუბედუროდ, ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯი არ გადადგმულა და მივიღეთ ის დამანგრეველი შედეგი, რომლის მომსწრეც დღევანდელი თაობა გახდა.

დასკვნები

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში დასაბუთებულია: 1) ქართველი ისტორიკოსების მიერ, ოსების საქართველოში ჩამოსახლების საფეხურებრივი პროცესების წინწამოწევა და ობიექტური ისტორიის საზოგადოებისადმი მიწოდება ორმა ფაქტორმა განაპირობა: ა)ოსი ისტორიკოსების მხრიდან ქართულ-ოსური ურთიერთობების მიზანმიმართულმა ფალსიფიკაციამ და ბ)საქართველოს ტერიტორიაზე ოსების აბორიგენ მოსახლეობად ლამის გამოცხადების ტენდენციამ; 2) სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებითა და შესაბამისი დოკუმენტური მასალის გაანალიზების საფუძველზე ნაშრომში დასაბუთებულია: ა) საქართველოში ოსების პირველი ნაკადის ჩრდილოეთიდან ჩამოსახლება XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება; ბ) ოსების საქართველოში გახშირებული ჩამოსახლების პროცესი საქართველოში XVIII საუკუნიდან იღებსსათავეს; გ) XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მეფის რუსეთის მოხელეთა ხელშეწყობითა და ლობირებით, საქართველოში ოსების ჩამოსახლებამ პერმანენტული ხასიატი მიიღო; 3) კავკასიის არქეოგრეაფიული კომისიის აქტების კრებულში დაბეჭდილი დოკუმენტებით ირკვევა: ა) გორის მაზრის ქართული სოფლების მოსახლეობისადმი ოსების მხრიდან გამუდმებული თავდასხმებისა და ძარცვის გამო, ცხინვალში ოსების თავისუფლად შესვლა, მეფის რუსეთის ხელისუფლებისგან იყო აკრძალული; ბ) 1886 წელს ჩატარებული აღწერის საფუძველზე შედგენილი საოჯახო სიებისა და 1917 წელს საქართველოში ჩატარებული აღწერის მიხედვით, ცხინვალში ოსების ცხოვრების ფაქტი არ დასტურდება; 4) ოსების ცხინვალში საცხოვრებლად დამკვიდრების დაწყების პირველი საფეხური, საქართველოს გასაბჭოებას უკავშირდება. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით,

1921 წლის 25 თებერვლიდან – 1922 წლის ჩათვლით, ცხინვალში 613 ოსი ჩასახლდა, ხოლო, 1926 წლის აღწერის მიხედვით, ცხინვალში მცხოვრები ოების რაოდენობა 1152 კაცამდე იყო გაიზარდა. საარქივო მასალებზე და ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ 1801 წლიდან 1920 წლის ჩათვლით, ცხინვალი წმინა ქართული ქალაქი იყო და იქ არცერთი ოსი არ ცხოვრობდა. მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების დღიდან (1921 წლის 25 თებერვალი) ქართველთა შევიწროების ხარჯზე, 70 წლის მანძილზე იგი ოსურ ქალაქად იქცა. ცხინვალში ოსიანობის დაჩქარებული პროცესი, გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან, ოსებისადმი განსაკუთრებული ლობირების შედეგს წარმოადგენდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

(Akti sobrannie Kavkazskoi Arkheographicheskoi Komissiei. (1874). T. 6. Тифлис). Акты собранные Кавказской Археографической Комиссией. (1874). Т. 6. Тифлис).

batonishvili, vaxushti. (1973). aghtsera sameposa saqartvelosa. teqsti dadgenili kvela dziritadi khelnatseris mikhedvit s. kaukhchishvilis mier. *kartlis tskhovreba*. t. IV. tbilisi (ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. იხ. *ქართლის ცხოვრება*. ტ. IV. თბილისი).

Bliev, M. (2006) Iuzhnaia Osetiia v kolliziakh Rassiisko- Gruzinskikh otnoshenii. Moskva. Блиев, М. (2006). Южная Осетия в коллизиах Рассийско-Грузинских отношений. Москва.

vadachkoria sh. (2020). osuri sakitkhi da kartuli sinamdvile. tbilisi. (ვადაჭკორია, შ. (2020). *ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე*. თბილისი).

totadze a. (2006). osebi sakartvelosi: miti da realoba. tbilisi. (ათოთაძე ა. (2006). *ოსები საქართველოში: მითი და რეალობა*. თბილისი).

topchishvili r. (1997). sakartveloshi osta chamosakhlebisa da shida kartlis etnoistoriis sakitkhebi. tbilisi. (თოფჩიშვილი რ. (1997). *საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები*. თბილისი).

gazeti „*sakartvelos respublika*“ (1991). 14 tebervali N 30. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ (1991). 14 თებერვალი N 30).

gazeti *„tbilisi“*. (1991) 16 ianvari. N 9. (გაზეთი *„თბილისი“* (1991). 16 იანვარი N 9).

Kochieva, I. Margiev, A. (2005). *Gruziia Etnicheskie chistki v otnashenii osetin. Moskva*. Кочиева И, Маргиев А. (2005). *Грузия Этнические чистки в отнашении осетин*. Москва.

(chiaeva.s., jioeva, l. (1989). mere gvian ikneba. *literaturuli sakartvelo*. № 43. tbilisi (ჩიაევა, ს., ჯიოევა, ლ. მერე გვიან იქნება. *ლიტერატურული საქართველო*. №43. თბილისი).

kartlis tskhovreba. (1959). *teksti dadgenili kvela dziritadi khelnatseris mikhedvit s. kaukhchishvilis mier.* t. II. tbilisi. (ქართლის ცხოვრება. (1959). *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.* ტ. II. თბილისი).

djaoshvili, v. (1991) mkholod simartle- pasukhad mat, vints kartvelebsa da osebs shoris mtrobas tesaven. gazeti *„sakartvelos respublika“* (1991). 15 tebervali N31. (ჯაოშვილი, ვ. მხოლოდ სიმართლე - პასუხად მათ, ვინც ქართველებსა და ოსებს შორის მტრობას თესავენ. გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“* (1991). 15 თებერვალი # 31).

https://iberiana.wordpress.com/samachablo/topchishvili/